ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა.

ქ.ამბროლაური

2025 წლის 5 თებერვალი

ოქმი N 1

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ბესიკ ბაქრაძე-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხიდიკრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი,მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაცხუთში,

2. მარიამ კერესელიძე--ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სადმელის თემის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი,მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირაგეულში,

3. სოსო ცხვედიანი- შპს.,,გეოფლაუერი" -ს წარმომადგენელი;

4. ნინო ლაბაძე- **საბჭოს თავჯდომარის მოადგილე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბუგეულის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი,მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუგეულში.

5. თამარ ფრუიძე- შპს ,,ბარაკონის" წარმომადგენელი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი,

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი ირმა ფრუიძე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელი ეკატერინე ლაშხი.

დღის წესრიგი:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის პროგრამის გაცნობა
2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა და 2025 წლის ბიუჯეტის გაცნობა.
3. 2025 წლის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"-ის ფარგლებში პროექტების დაწყების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.

4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განხორციელებული და 2025 წლის დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გაცნობა.
5. სხვადასხვა.

სხდომას უძღვებოდა მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი, რომელმაც დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო საბჭოს წევრებს.

პირველი საკითხზე თამარ ქევანაშვილმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდა პერსონალური ასისტენტის პროგრამის თაობაზე და აღნიშნა:

მუნიციპალიტეტი პერსონალური ასისტენტის პროგრამას ახორციელებს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და დელეგირებისთვის განკუთვნილი მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობით.

პერსონალური ასისტენტის სერვისი – ეს არის სერვისი, რომელიც სათანადო დახმარებას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხისა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის გაზრდაში, განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისების სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას.

პროგრამის ამოცანაა ამ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

პერსონალური ასისტენტი უნდა იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელიც გამოხატავს თანხმობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს გაუწიოს მისთვის საჭირო მომსახურება დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხისა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის გაზრდის მიზნით, განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას, ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2024 წლის 20 დეკემბერს N21 დადგენილებით დაამტკიცა ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის პროგრამა“.

პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა მიმართა შესაბამის უწყებას მიზნობრივი ტრანსფერის 117015 ლარის (10 ბენეფიციარზე) გამოყოფასთან დაკავშირებით. განისაზღვრა პერსონალური ასისტენტის პროგრამის ვაუჩერის ფორმა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში პროგრამით მოსარგებლე პირების სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლებამოსილია სამედიცინო დაწესებულება შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“, რომელიც პასუხისმგებელია უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის სამართლებრი-ორგანიზაციული მხარეების ჯეროვანი წარმართვა/განხორციელება.

დღის წესრიგით გათავალისწინებულ მეორე საკითხზე თამარ ქევანაშვილმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 31 615 350 ლარს. აღნიშნული ფინანსური რესურსი მიზნობრივად ხმარდებოდა სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების, საბიუჯეტო სფეროების და დარგების, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას. პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგია:

❖ ინფრასტრუქტურის განვითარება - წლიური გეგმა შეადგენდა 16 806 274 ლარს, ხარჯი16 371 671 ლარი - შესრულება 97 %.

❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა - წლიური გეგმა შეადგენდა 1 398 390 ლარს, ხარჯი 1 397 625 ლარი - შესრულება 100 %.

❖ განათლება - წლიური გეგმა 2 341 244 ლარი, ხარჯი კი 2 326 877 ლარი- შესრულება 99 %.

❖ სპორტის სფეროს განვითარება - წლიური გეგმა 1665 541 ლარი, ხარჯი 1627 163 ლარი - შესრულება 98 %.

❖ კულტურის სფეროს განვითარება - წლიური გეგმა წარმოადგენდა 2 442 421 ლარს, ხარჯი კი 2 409 876 ლარს -შესრულება 99 %.

❖ ჯანმრთელობის დაცვა - წლიური გეგმა 493 809 ლარი, ხარჯი 434 607 ლარი-შესრულება 88 %.

❖ სოციალური დაცვა - წლიური გეგმა 749 310 ლარი, ხარჯი 678 042 ლარი- შესრულებულია 90 %-ით. ყველა პროექტი და პროგრამა, რომელიც 2024 წლისთვის იყო დაგეგმილი შეფერხებების გარეშე განხორციელდა

2025 წლის პროგნოზით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 14 366,6 ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2025 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2101,7 ათასი ლარით (17%-ით).

2025 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილია ცხრილის სახით.

დღის წესრიგით გათავალისწინებულ მესამე საკითხზე ,, *2025 წელს სოფლის მხარდამჭერის პროგრამის დაწყების თაობაზე“* დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა ირმა ფრუიძემ და განმარტა:

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები“-ს N654 დადგენილების, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N53 განკარგულების საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ჩასატარებლად დაიწყო შესაბამისი პროცედურები საერთო კრებები და კონსულტაციები გაიმართება 2025 წლის 14 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულია დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართება ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით. მოქალაქეებისაგან საპროექტო წინადადებების მიღება ხორციელდება მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველ სამუშაო დღეს 09^{00}-დან 18^{00} საათამდე, 2025 წლის 28 იანვრიდან 07 თებერვლის ჩათვლით. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების მეორე მუხლით განსაზღვრული ჩამონათვალის შესაბამისად.

პროექტების ჩამონათვალი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებია:

ა) სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის, ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);

ბ) სარწყავი სისტემები;

გ) სანიაღვრე არხები;

დ) ნაპირსამაგრი სამუშაოები;

ე) გზები და გზისპირა მოსაცდელები, აგრეთვე ტროტუარები და გზის შემადგენელი სხვა ინფრასტრუქტურა;

ვ) ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;

ზ) გარე განათება;

თ) სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

ი) სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

კ) ამბულატორიის შენობები;

ლ) სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა;

მ) სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

ნ) სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით;

ო) წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;

პ) მინიჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა;

ჟ) გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და დამისამართების შესაბამისად, შესაბამისი ნიშნების, აგრეთვე ტურისტული ადგილების მიმანიშნებელი ნიშნების განთავსება;

რ) საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხზე „ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განხორციელებული და 2025 წლის დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ“ სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელმა ეკატერინე ლაშხმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს. მან განმარტა: ინფრასტრუქტურა ინფრასტრუქტურის განვითარება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, 2024 წელს ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 13 522 254 ლარი და განხორციელდა 160 პროექტი. განხორციელებული პროექტები ითვალისწინებდა სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, წყალსადენი სისტემების მოწესრიგებას, სანიაღვრე არხების მოწყობას, საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების რეაბილიტაციას და მუნიციპალიტეტისთვის სხვა მნიშვნელოვანი

პრიორიტეტების განხორციელებას. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2024 წელს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 30 პროექტი საერთო ღირებულებით 7 599 480 ლარი.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში შესრულდა 734 000 ლარის ღირებულების 68 პროექტი. 10 სოფელში მოწესრიგდა განათება. 3 სოფელში-სპორტული ინფრასტრუქტურა. 4 სოფელი-სასაფლაოს შემოღობვა. მოსაცდელი -2 სოფელი. 16 სოფელში -სასმელი წყალი. 2 სოფელში - მოეწყო საბავშვო სკვერი. სანიაღვრე არხები-9 სოფელში. საუბნო გზა -22 სოფელში. ხიდბოგირი-1 სოფელში. ყველა პროექტი შესრულდა 100 %-ით .

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელ პროექტებს, რომელიც შეადგენს 1 152 257 ლარის ღირებულების სამუშაოებს, ამ ეტაპზე 46 პროექტიდან დასრულებულია 42 პროექტი. 4 პროექტი კლიმატური პირობების გამო გადავადებულია და დასრულდება 2025 **წელს.**

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები: გამოყოფილი თანხებით დაფინანსებული იქნა 17 ობიექტი . სულ 2024 წელს გამოყოფილი იქნა 2 500 000 ლარი. თანხები მიმართული იქნა შემდეგ ობიექტებზე

მთის განვითარების ფონდი 2024 წელს მიმდინარეობდა მთის განვითარების ფონდიდან დაფინანსებული 3 პროექტი, რომელთაგანაც 2 გარდამავალი იყო. 2024 წელს ამ პროექტებზე გამოყოფილი იქნა 1 072 316 ლარი.

მუნიციპალიტეტში ასევე მიმდინარეობს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები: 1. სადმელის საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც დასრულებულია- თანხით 1 278 333 ლარი 2. ქალაქ ამბროლაურში 200 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა- თანხით 4 200 000 ლარი 3. ჭრებალოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და ნიკორწმინდის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ჯამურად 6 000 000 ლარი. 5 მუნიციპალიტეტში დასრულების ეტაპზეა ამბროლაურის N2 და ლიხეთის საჯარო სკოლების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, ორივე სკოლის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ "რომელთა ჯამური ღირებულებაც 8 000 000 ლარს შეადგენს.

2025 წელს განსახორციელებელი პროექტები წარმოდგენილია ცხრილის სახით.

აზრი გამოთქვეს: სოსო ცხვედიანმა გამოთქვა აზრი,რომ სოფელ ქვიშარში პრობლემა არის საძოვრის თაობაზე, რომ დარჩეს საძოვრად-ელექტრო სადგურის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე.

დაადგინეს: მორიგი სხდომა გაიმართება მომდევნო 3 თვეში. თარიღი საბჭოს წევრებს ეცნობებათ მდივნის მიერ სატელეფონო შეტყობინებით.

მრჩეველთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საბჭოს თავჯდომარის მოადგილე ნინო ლაბაძე /

სხდომის მდივანი მზია მიქაუტაძე /